ა(ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

13.05.2013 №90

თბილისი

სტუ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის
ვაკანტური სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2013 წლის 14 მაისის №01/01-10 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო-სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2013 წლის 15 მაისს და დასრულდეს 2013 წლის 31 მაისს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შენობაში (მის: აღმაშენებლის გამზ.№150ა, ტელ: 2 95 10 47), 11 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონკურსი ჩატარდება 2013წ. 7 ივნისს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

1. **წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილებაში:**

განყოფილების გამგე, 1 სრული საშტატო ერთეული;

2. **კლიმატოლოგიის და აგრომეტეოროლოგიის განყოფილებაში:**

განყოფილების გამგე, 1 სრული საშტატო ერთეული;

3. **ამინდის პროგნოზების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მოდელირების განყოფილებაში:**

განყოფილების გამგე, 1 სრული საშტატო ერთეული;

4. **ბუნებრივი გარემოს დაჭუჭყიანების მონიტორინგისა და პროგნოზების განყოფილებაში:**

განყოფილების გამგე, 1 სრული საშტატო ერთეული;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე (თანამდებობის ჩვენებით, ივსება ინსტიტუტში);

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

დ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებული, მათ შორის 2008-2012 წლებში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ვ) 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);

თ)ბოლო 5 წლის მანძილზე შესრულებული სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;

კ) შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა /საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და სხვ.

ლ) 2 ფერადი ფოტოსურათი (3X4)